# სახალხო გაზეთი

№ 665 ხუთშაბათი, 2 აგვისტო, 1912 წ. № 665

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ზის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.



## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


**ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ „საზოგადოების" დამფუძნებელი წევრის, საზოგადო მოღვაწის, პროფესორის

## ალექსანდრე სოლომონის ძის ხახანაშვილის

ნეშტს მოასვენებენ ტფილისის სადგურზე პარასკევს, 3 მარიამობისთვეს, დილის 8 საათზე, ფოსტის მატარებლით, № 3. სადგურზე გადახდილ იქნება მცირე ლიტია. სადგურიდან 9 საათზე ცხედარს წამოასვენებენ დიდუბის ეკლესიაში, სადაც მისვენებისთანავე გადახდილი იქნება პანაშვიდი. შაბათს, საღამოს 7 ნახ. საათზე პანაშვიდი იქვე. წირვა და დაკრძალვა კვირას. (2-0 1)

**გიორგი პეტრეს ძე, ნინა გრიგორის ასული, პეტრე ოქროს ძე, ვასილი, ალექსანდრე და ვახტანგ ლეონიძენი,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას, პირველი ორი—საყვარელ შვილისას, მესამე—შვილიშვილისას და დანარჩენნი—ძმისას **ტფილ. მეორე გიმნაზ. მე-2 კლ. მოწაფის**

## ილუშასას.

პანაშვიდი დღეს, 7 ნახ. საათზე, ცხედრის გამოსვენება 3 აგვისტოს, 1 საათზე, ანდრონიკოვის ქ., № 10, ტფ. სადგურზე, საიდანაც 3 ს. წაასვენებენ სოფ. სასირეთში. დაკრძალვა ოთხშაბათს, 4 აგვისტოს. (1—20—1)

**სოფიო დიმიტრის ასული, ივანე, ნადეჟდა და შალვა დავითის ძენი და ასულნი, მღვდელი ვასილ ხახიშვილი, ელენე დავითის ასული ხახიშვილისა, ევგენია დავითის ასული და ლევან სოფრომის ძე ბურჭულაძენი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებას

## დავით ადამის ძის დოდაშვილისას

სოფელ გურჯაანში. ასვენება, პანაშვიდი და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—19—1).


საზაფხულო **ახალი კლუბი** შიოლა.
**ხუთშაბათს, 2 აგვისტოს,**

ჩვეულებრივად **საზაფხულო საღამო.**

სხვა და სხვა სათამაშოები, დივერტისმენტი, წარმოდგენა ქართულ ენაზე: **„ზოგი ჭირი მარგებელია"** და **ცეკვა.**

**ანონსი:** შაბათს, 4 აგვ. „საოჯახო საღამო და ცეკვაობა". (1.1392.1)



**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრიობა „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი" „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „ 85 კ.



**იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამოვა გასასყიდად**

## ჩემი სიმღერა

**რჩეული ლექსები** გ. ახოსპირელისა. **ფასი ორი შაური.**

გამომცემელი ა. ალხანაშვილი. (3.14122.)


## ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის გამგე აცხადებს,

რომ გიმნაზიის მოწაფეების გამოცდა

| | | |
|---|---|---|
| დაიწყება მე-3, 4, 5, 6 და 7 კლასებში | მარიამობისთვის | 20, |
| „ 1 და 2 „ | „ | 23, |
| „ მოსამზადებელ განყოფილებებში | „ | 25, |
| მისაღები ეგზამენები პირველს განყოფილებაში | „ | 25. |

სხვა კლასებში გიმნაზიის მოწაფეებთან ერთად.

მოწაფე, რომელიც თავის დროზე არ გამოცხადდება გამოცდაზე, აღარ იქნება მიშვებული ეგზამენებზე. ვისზედაც გასულის 1911/12 წლის სწავლის გადასახადია დარჩენილი, თუ არ გადიხდიან 1 ენკენისთვემდე, გამორიცხულად ჩაითვლებიან.

თხოვნები ახლად შემომსვლელთაგან მიიღება მხოლოდ 15 მარიამობისთვემდე. **გიმნაზიის კანცელარია ღია იქნება ოთხშაბათობით დილის 10—1 საათამდე.** (9-1384—8)


## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:**

შ. არაგვისპირელი. ნაწერები წიგნ. მეოთხე ფასი . . . 50 კ.
ს. კაკაბაძე. თამარ მეფე და მისი მნიშვნ. საქართ. ისტორიაში 15 „
Е. Такайшвили. Опис. рукописей О-ва распрост. грам. ср. Груз. нас. Т. II, в. IV . . . 1 მ.
ნ. სულხანიშვილი. ქართ. საეკ. მუსიკ. „ღმერთი უფალი", 1 ხმა 35 „
მღ. მ. კელენჯერიძე. აკაკი წერეთელი, როგორც მგოსანი მამულიშვილი . . . . 25 „
თეორია სიტყვიერებისა, მეორე შესწორებ. გამოცემა მისივე 40 „
წმ. ნინოს დღეობა და მისი მნიშვნელობა ორი სიტყვა ეპისკ. ლეონიდისა და მღ. მ. კელენჯ. 5 „
დარვინიზმი, თარგ. ი. ფანცხავასი, ახალი გამოც. . . . 25 „
გრდემლი, სალტ. კრებული 1—50 „
ბესიკი, ლექსები . . . . 1 მ.
ა. ახნაზაროვი. ლექს. და სცენ. 60 „
ა. წულაძე. ფუტკ. და მეფუტკ. 80 „
აკაკი. ჩემი ნაწერები ტ. I, . 75 „
ა. ფურცელაძე. ბრძოლა საქარ. მოსასპ. და საქ. შესაერთებლად ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო . . . . 1 მ.
И. Ростомашвили. Основное начало раз. и дешеваго земледѣлія 15 „
И. И. Р Долой болѣзны . . 20 „
ს. გორგაძე. ქართული წყობილსიტყვაობა . . . . . 30 „
თ. გ. ერისთავი. ძუნწი . . 5 „
უცხო სიტყვათა ლექსიკონი 20 „
მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი 10 „
ტრ. რამიშვილი. ორი პიესა, შეშლილნი და კრიტიკოსთან 25 „

**ადრესი:** Тифлисъ, О-ко распр. Гр. ср гр. насел. (წ. 1411.89).



## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნარული განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| [illegible] | **ლამბაშიძე გ. ლ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ლამბაშიძე გ. ლ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| [illegible] | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| [illegible] | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.84)



**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი** შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., სალ. 6—8 საათ. დიდუბე, სუგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე ბორონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—18)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სალამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. სალამ. 5—7. (25.1045.168)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხ. გედევანიშვილისა** ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—57)

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ჭაჭაია** იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე, ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—136)

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—75)



## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 351)



## შპალიერი ძმ. ტარნოპოლთა ქარხნისა.

**ტფილისის განყოფილება.** იმყოფება გოლოვინის პროსპ., № 21, სახ. არტისტ. საზ., **ტელეფ.** № 355. **საწყობში** ყოველთვის ბლომად არის შპალიერი, რომელიც **საქარხნო ფასებში იყიდება,** თოფი 4 კაპ.-დან 6 მან.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50.155.3)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდ. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**მღებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარას., კვირაობით 4—5 ს.

**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ერმოლაევი** -ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.

**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 16)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. მგალობლი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606"-ით.** (წლ—1018—46.)



**ექიმი გ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლ., სვანიშვილისა.



**ექიმი აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.217)

**ექიმი კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—35)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შიგაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა, № 12.

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე** 20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს შინაგან და ბავშვათა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., №


## ტფილისი, 2 აგვისტო.

**წვრილი საკრედიტო ამხანაგობათა კავშირი.**

ორი წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩვენში წვრილ საკრედიტო დაწესებულებათათვის მშვენიერი ნიადაგი ყოფილა. იზრდება არა მარტო მათი რიცხვი, იზრდება თვითოეული მათგანის მოქმედებაც. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ერთად ერთი უმთავრესი ნაკლი მხოლოდ საკმაო ინტელიგენტურ ძალთა უქონლობაა. ჩვენებურს სოფელში რომ მცირეოდენი ინტელიგენცია მაინც ჰბინადრობდეს, ძრავალფერი კოოპერატიული ამხანაგობა დაარსდება და საკრედიტო დაწესებულებათა სამოქმედო ასპარეზიც გაფართოვდებოდა. მაგრამ ნელ-ნელა სოფლის სურათი ამ მხრივაც იცვლება. ეხლანდელი სოფელი ძალიან განსხვავდება წინა წლების სოფლისაგან. წინად თუ ყველა სოფლიდან გარბოდა, ეხლა ცდილობენ მაგრად მოიკიდონ ფეხი და გაუმჯობესებულ მეურნეობის წყალობით შექმნან თავიანთვის წყარო არსებობისა.

ეს პროცესი გაიზრდება. ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან თამამად და იმედიანად ვუცქიროთ წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა მომავალს.

მიუხედავად ამისა, მაინც გამრჯელობას არ უნდა უკლოთ, რადგანაც ამ დაწესებულებებს ბევრი რამ აკლიათ.

უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია, რომ თვითოეული მათგანი ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად მოქმედობს. წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა შეერთება და საერთო რთულ საქმეების საერთო ძალღონით გაძღოლა ძალიან შეუწყობდა ხელს მათ განვითარებას.

როგორც გავიგეთ, წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა სამმართველოსაც აზრადა ჰქონია ასეთი კავშირის დაარსება და ამ მიზნით აპირებს საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლობის კრების გამართვას. ყველა საკრედიტო ამხანაგობა უსათუოდ უნდა მოემზადოს ამ კრებისთვის. მომზადება კი, ჩვენის აზრით, უნდა გამოიხატოს შემდეგში: ყველგან, სადაც კი საკრედიტო დაწესებულებანი არსებობს, უნდა გამგეობამ მოიწვიოს საზოგადო კრება ამხანაგებისა, აუხსნას მნიშვნელობა კავშირისა, რომ იმათაც გათვალისწინებული ჰქონდეთ ყველაფერი. როდესაც საკრედიტო ამხანაგობათა წევრებს ეხლავე ეცოდინებათ, რომ განზრახულია კავშირის დაარსება, ეხლავე ეცოდინებათ დანიშნულება კავშირისა, მაშინ თვით კავშირის მოქმედებასაც მეტის ყურადღებით მოეკიდებიან და საზოგადოდ თვითოეული მათგანის მოქმედებაც უფრო შეგნებული იქნება. ეს სასარგებლოა ორის მხრივ: თვით საკრედიტო საქმისათვის და ხალხის გათვითცნობიერებისთვის.

ხალხს მაშინ ჰორიზონტი გადაეშლება, დაებადება ახალი პერსპექტივა. ეს კი ადგილობრივაც გააცხოველებს საქმიანობას.

ამიტომ კარგს იზამენ საკრედიტო ამხანაგობათა მეთაურნი, თუ დროზე შეუდგებიან საქმეს და დროზედვე მოამზადებენ ნიადაგს საკრედიტო ამხანაგობათა მომავალ კავშირისთვის.

## სომხური პრესა

სომხურ პრესაში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა პროფ. ა. ხახანაშვილის გარდაცვალების გამო.

„მშაკი" №-164 ნომერში სწერს: „ჩვენს ქართველ მეზობლებს ორი მძიმე დანაკლისი არგუნა ბედმა. ჯერ ამ უკანასკნელ დროს გარდაიცვალა ცნობილი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რომლის დაკარგვაც ფრიად საგრძნობელია ქართველთათვის.

ახლა მეორე უკეთესი დანაკლისი ეწვიათ.

დეპეშამ მოგვიტანა სამწუხარო ამბავი ქართველ მეცნიერთა ერთ-ერთის სიცოცხლის ამბავი. ქ. საბარის მახლობლად ერთ-ერთ კურორტში გარდაიცვალა პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილი, 46 წლისა".

წერილის ავტორს ბ. ა. ხახანაშვილის მოჰყავს განსვენებულის ბიოგრაფია და ამ სიტყვებით თავავებს წერილს:

„მიუხედავად იმისა, რომ მას თვითონ ადგილი ეჭირა მეცნიერების [illegible] (პროფესორის კათედრა) განსვენებულმა პროფესორმა დაუღალავად იღვაწა ქართულ ფილოლოგიის და საერთოდ მეცნიერების ასპარეზზე და ქართული მეცნიერება გაამდიდრა ახალი კვლევა-ძიებით, რომლებიც ერთი მეორეზე უფრო საინტერესონი და შინაარსიანი იყვნენ.

ა. ხახანაშვილი დაუღალავი მეცადინეობით [illegible] ლიტერატურის კვლევა-ძიება, რომლის [illegible] მან დიდი როლი შეასრულა, [illegible] ქართული ლიტერატურის [illegible]. მაგრამ მისმა [illegible] ჯან-გატეხილობამ ვერ გაუძლო [illegible] იგი, ჯერ ისევ [illegible] ერთი ნაყოფიერი მოღვაწე [illegible] რებული მოღვაწე.

მოკლე, მაგრამ ნაყოფიერ სიცოცხლის განმავლობაში ალექსანდრე ხახანაშვილმა წმინდათ და უნაკლოდ შეასრულა თვისი მოქალაქობრივი მოვალეობანი თვის სამშობლოს და ქართველ ერის წინაშე, რომელსაც დახმარების ხელი გაუწვდინა თვის სიკვდილის შემდეგაც ნივთიერად ‑ თვისი ნაჰირნახულევი 45,000 მანეთამდე უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის დამფუძნებელი და მოამაგე წევრთაგანიც იყო განსვენებული".

* * *

გაზეთ **„ჰორიზონ"**-შიც არის მოთავსებული ერთი წერილი განსვენებულ პროფესორის შესახებ, რომელიც მის მოკლე ბიოგრაფიას წარმოადგენს.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გარშემო.** გუშინ ქალაქის გამგეობაში დასრულდა რუსთა კურიის ამომრჩეველთა საერთო სიის შედგენა.

— რუსეთის მემარჯვენეთა შორის საკმაოდ ცნობილი მოღვაწე ვალერიან ვალერიანის ძე კაზარინოვი ქალაქის გამგეობამ საარჩევნო სიაში შეიტანა.

— გუბერნატორმა ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა, რუსთა კურიის ამომრჩეველთა სია ოფიციალურს გაზეთ „კავკაზში" გამოაქვეყნოს, ხოლო საერთო კურიის სია— მხოლოდ ქალაქის გამგეობის შენობაში გამოჰკიდოს. გუბერნატორს არ დაეთანხმა, რადგანაც არც მესამე სათათბიროს ამრჩეველთა სია ყოფილა გაზეთში გამოქვეყნებული. შესაფერ განმარტებისთვის გუბერნატორმა ნამესტნიკის კანცელარიას მიმართა.

✦ უწმ. სინოდის სამოსწავლო კომიტეტის წევრმა სავიოსკიმ საქართველოს ეგზარხოს წარუდგინა ვრცელი ანგარიში საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებლის რევიზიისა.

✦ **წირვა და წყალკურთხევა.** გუშინ, ქვაშვეთის ეკლესიაში სწირა საექსარხოსოს მმართველმა ეპისკოპოსმა პ. მენმა. წირვის შემდეგ ტფილისის სამღვდელოება ლიტანიით გაემართა გიორგისა და ბარიათინსკის ქუჩით, ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში, სადაც აუზში წყალი აკურთხა. აუზზე გაკეთებული იყო თალი, ვარდებითა და ფოთლებით შემკული. წყლის კურთხევის შემდეგ ლიტანია ისევ იმ გზით დაბრუნდა უკან.

✦ **დასასვენებლად წავიდა** ერთის თვით ქალაქის მესამე ნაწილის ექიმი ზელნიცკი, მის თანამდებობის ასრულება მეოთხე ნაწილის ექიმს ზჳნკევიჩს დაეკისრა.

✦ რადგანაც სოფ. კამარგლიუში (ერევნის გუბერნია) ბამბას სიდამპლე გაუჩნდა, რომელიც მრეწველთ დიდ ზარალს აყენებს. ტფ. საბოტანიკო ბაღის ფიტო-პატოლოგიურმა კაბინეტმა ბამბის მრეწველობის ინსტრუქტორს ბ-ნ ქურდიანს მიმართა თხოვნით, გამოუგზავნოს გამხმარი ნიშნები ამ ავადმყოფობის ბაცილებისა, და თითო გაფუჭებულ მცენარეების ნიმუშები, გამოსაკვლევად.

✦ **ფილოქსერასთან მებრძოლი ჯგუფი** გუშინ, 1 აგვისტოს, გაემგზავრა კახეთში ინსტრუქტორების მაქარაშვილისა და იოსელიანის თაოსნობით. პირველი ჯგუფი გაემართა იორის ველისაკენ, სადაც უნდა დააფუძნოს ფარგალი კახეთში ფილოქსერის გავრცელებულ ადგილებსა, მეორე ჯგუფი კი შეუდგება შუა კახეთის გამოკვლევას.

✦ დღეიდან განახლდა **ქართლ-იმერეთის სასინოდო კანტორის** კრებები, რომელიც სამს დღეს გაგრძელდება. შემდეგ კი ისევ შესწყდება პირველ სექტემბრამდე. სექტემბრიდან კრებები კვირაში სამჯერ მოხდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

✦ კავკასიის საგუბერნიო საგრონომიო ორგანიზაციების საერთო ხარჯი მომავალ წლისათვის, აღნუსხულია 30,800 მან. მიმდინარე წელს კი გადადებული იყო სულ 22,400 მანეთი.

✦ **გამოფენა** მეფუტკრეობისა, მებაღეობისა, მებოსტნეობისა, რომელიც უნდა გახსნილიყო ტფილისში მიმდინარე წლის პირველ სექტემბერს, გადაიდო 1914 წლის პირველ სექტემბრისათვის.

✦ მცენარეების სოკოს ავადმყოფობის მკვლევარი გ. ს. ნევადოვსკი და მეხილეობის ინსტრუქტორი ბ. ბაგრამოვი გორის მაზრიდან ტფილისს დაბრუნდნენ. მათ დავალებული ჰქონდათ გორის რაიონში მეხილეობისა და მებოსტნეობის დაყენების საკითხის შესწავლა გამოკვლევა.

✦ კავკასიაში გადმოსახლების სამმართველოს გამგემ ტფ. გუბერნატორს წარუდგინა ახალშენის „ტატიანინსკოეს" 40 გადმოსახლების შუამდგომლობა და სთხოვა, რომ განკარგულება მოახდინოს, რათა მათ ეზოებისათვის მიცემულ სახაზინო მიწების შემოსაღობავად ხე-ტყე მისცენ უფასოდ.

✦ ტფ. გუბერნატორმა გადმომსახლებელ რუსთა დამხმარე კავკასიის კომიტეტს ნება დართო; 9, 10 და 11 აგვისტოს, „მუშტაიდის" ბაღში გამართოს უფასო სეირნობა ამ საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად.

✦ ტფ. გუბერნატორმა სიღნაღის ბოდბეს სკოლის მასწავლებელს ბ-ნ ბარნაბაშვილს ნება დართო გამართოს სალიტერატურო-სამუსიკო საღამო ამ სკოლის სასარგებლოდ.

✦ ტფილისში დაბრუნდა ტფ. საბოტანიკო ბაღის უფროსი ბოტანიკი პ. ვ. ფომინი, რომელიც ბაკურიანში საალპო განყოფილების მოწყობის შესახებ იყო წასული.

✦ ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის დეკანოზი უტარნოვი სუხუმის საკათედრო ტაძრის დეკანოზად დაინიშნა.

✦ სამეურნეო ჟურნალ მოსავალში დაბეჭდილია შემდეგი წერილი, რომელსაც საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს დროზე: **ტფილისის ქართულ სამეურნეო საზოგადოებას** უმორჩილესად ვთხოვთ შუამდგომლობ გაგვიწიოს სადაც ჯერ არს, აღმოგვიჩინონ დახმარება კარდანახის მინდორზე მძვინვარე თაგვების წინააღმდეგ. ჯერ იყო და გაზაფხულზევე გაჩნდა თაგვი, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა ახალ ჯეჯილებს. მიღებული იყო ზომები ეგრედწოდებულ სტრიხნინის" წამლით, მაგრამ ვერაფერი უშველა. ახლა კიდევ გაზაფხულიდან უფრო გამრავლდა თაგვი და მოსავალში ვშიშობთ, ვაი თუ მთელი ნათესი შემოდგომისა გაანადგუროს სრულიად.

უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ჩვენი გულწრფელი თხოვნა და რადგან „სტრიხნინის" წამალი ვერ მოქმედობს, სხვა საშუალება მოგვაშველოთ ეგრედწოდებულ **ტიფოზნი** პრეპარატით. „მოსავალი"

✦ ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი 30 ივლისს დუშეთის მაზრიდან დაბრუნდა, სადაც სასოფლო გზები დაათვალიერა. იმავე დღეს გუბერნატორი ბორჯომს გაემგზავრა.

✦ კახეთის რკინის გზის საქმეთა გამო პეტერბურგში წასული თავ. დ. გ. ჩოლოყაშვილი ტფილისში დაბრუნდა.

✦ **შუამდგომლობა.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქალაქის გამგეობას წარუდგინა 1911 წლის მოქმედების ანგარიში და სთხოვა, 1913 წელსაც აღმოუჩინოს საზოგადოებას ნივთიერი დახმარება.

✦ **ექსკურსია.** ტფილისის დასათვალიერებლად მოკლე ხანში ჩამოვლენ მარინსკის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლენი.

✦ სამართალში აძლევენ კარაპეტ პაპიკიანცს, მოვტოვიჩს და ვართან ვართანოვს, რომელთაც პოლიციელებს ქრთამი შეაძლიეს.

✦ 31 ივლისს, „აპოლოს" პროექტორში საწამლავი დალია ტფ. მოქალაქემ ემილ დანიელის ძემ ლანკმა. რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **რედაქციამ მიიღო ჟურნალი „კოოპერაციის" № 23—26 შემდეგის შინაარსით:** 1) მოწინავე: კოოპერაციის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში; 2) კოოპერაციის ზრდა ინგლისში—თ. სახოკიასი; 3) კოოპერატივები ‑ საზოგადოებრივი ბრძოლა—პროფ. „საევისა; 4) რა არის მომხმარებელი საზოგადოება და როგორ უნდა დავაარსოთ საზოგადო მაღაზია და სხვ.; 5) თ-დი ვასილჩიკოვი, ბიოგრაფია სურათით; 6) საკოოპერაციო კონგრესი გერმანიაში; 7) სრულიად რუსეთის კოოპერატორთა კრება და სახალხო ბანკის გახსნა და მრავალი სხვა. ნომერი შინაარსიანია და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში და ჟურნალ-გაზეთების აგენტებთან ორ შაურად.

✦ **ლექციები რაჭაში.** 29 ივლისს ჟურნალ „კოოპერაციის" რედაქტორი ი. გაბილაია გაემგზავრა რაჭაში, სადაც წაიკითხავს ლექციებს და მოაწყობს საკრედიტო, სარძეო, მომხმარებელ და სხვა კოოპერატივებს.

✦ უკვალოდ დაიკარგნენ; პანტელეიმონ შიშიკოვი, ნიკიტა ცაპენკო, იმხეილ ! იდელცოვი და ლეონიდე პროტოპოპოვი.

✦ 31 ივლისს ტფილისში 64 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება პარასკევს, 3 აგვისტოს მოხდება წესიერ დასვენების ახალ სავალდებულო დადგენილებათა განსახილველად.

✦ პირველ აგვისტოსათვის დანიშნული იყო ტფილისის ვაჭართა საზოგადოების კრება, რომელზედაც უნდა განეხილათ საკითხი მოსამსახურეთა წესიერი დასვენებისა სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში. კრება შესდგება დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზე, მანთაშევის სახელობის სავაჭრო სკოლაში.

### ქუთაისი.

✦ **აკაკი** თანამგზავრებით ქუთაისს დაბრუნდა.

— იმ კვირას, ლაილაშლების წარმომადგენელმა მგოსნის მისართმევად საუცხოო ჯოხი წაიღო ქუთაისიდან. ჯოხს ლირა აზის თავში და ზედ წარწერილი აქვს: „ლაილაშის საზოგადოება—მგოსანს აკაკის". ჯოხი რვა თუმნამდე დაჯდა,

✦ გამოვიდა კ. აბაშიძის ეტიუდების მეორე ტომი მე-XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ.

✦ საარჩევნო სიების გამოქვეყნება ამ 5—6 დღეში მოხდება.

✦ შავი-ქვის საბჭოს ქიათურის საავათმყოფოს 1 იანვრიდან—1 ივლისამდე, ე. ი, ნახევარი წლის განმავლობაში მწოლიარე ავათმყოფებისაგან შემოსულა 2074 მან. მიმსვლელ ავათმყოფებისაგან 649 მან.

✦ შავი-ქვის საბჭოს სოფ. მღვიმესა და ზედერგანში საფერშლო პუნქტები აქვს მოწყობილი. ამ ნახევარი წლის განმავლობაში სოფელ მღვიმეში სააქიმო დახმარება მიეცა 850 მამაკაცს, 2[illegible] დედაკაცს და 1[illegible] ბავშვს. სოფ. ზედაზენში—610 მამაკაცს, 84 დედაკაცს და 26 ბავშვს.

✦ სატახტო გაზეთების ცნობით იალტის გრადონაჩალნიკი გენერალი ივ. დუმბაძე ადმინისტრატიულ სამსახურს თავს ანებებს და სამხედრო მინისტრის განკარგულებაში გადადის. ხმებია, ლივადიის კომენდანტად ინიშნება. „კოლხიდა".

### გორი

✦ 29 ივლისს, სამოქალაქო ბაღში სომხებმა **სეირნობა** გამართეს სომხურ სამრევლო სკოლის სასარგებლოდ. ხალხი დიდძალი დაესწრო.

✦ 25 ივლისს, მომრიგებელ შუამავლის თანადასწრებით ს. ტყვიავმა და მარანმა ყრილობაზე გადასწყვიტეს: 1) გახსნას **სკოლა** ს. ტყვიავში. 2) დაარსონ **სასოფლო ბანკი** ქიწნისსა, ს. მერეთში და სხვ.

✦ ოცდა ცხრა მკათათვეს მოხდა **„გორის ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის"** უკანასკნელი კრება. კრებამ საბოლოოდ მიიღო წესდება და წევრებმა ხელშეკრულობას ხელი მოაწერეს. საწევრო გადასახადი ოცდა ხუთი მანათია. მსურველთ უნდა მიჰმართონ ამხანაგობის გამგეობას ქ. გორში. გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ზ. დ. ქიტიაშვილი (თავმჯდომარედ), გიორგი თ. კაპანაძე და ა. ი. მელიქიშვილი—გამგეობის წევრებად, ვანო კვალიაშვილი—ხაზინადრად და თავ. მ. ი. ციციშვილი მდივნად.

✦ ოცდა ათს ამ თვეს კრება ჰქონდა „გორის ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის ახალ გამგეობას". კრების გადაწყვეტილებით რედაქტორს სრული უფლება მიეცა თავისუფლად ჰმართოს რედაქცია. იმის ნებაზეა დამოკიდებული მიღება და დათხოვნა რედაქციაში მომუშავეთა, სარედაქციო კომისიას მხოლოდ მრჩეველი ხმა აქვს, ვიდრე ბ-ნი ციციშვილი იქნება რედაქტორად. ამავე კრებაზე გადაწყდა, რომ „ამხანაგობამ" მიიღოს თავის თავზე გამომცემლობა გაზეთისა. გამომცემლად იქნება თავ. მ. ი. ციციშვილი „ამხანაგობის" მინდობილობით. („ქართლი")

### თელავი

✦ ამ თვის ათისთვის დანიშნულია იუბილეი ჩვენი ნიჭიერ არტისტის ქალისა მ. მ. **საფაროვ-აბაშიძისა** კ. დ. ყიფიანის მონაწილეობით დაიდგება „პარიზელი ბიჭი" და „გულმა იგრძნო".

# გარეული იხვი

**ჰენრიკ იბსენისა.**

დრამა ხუთ მოქმედებად.

**მომქმედნი პირნი:**

**ვერლე**—კომერსანტი და ქარხნის პატრონი.
**გრეგერს ვერლე** იმისი შვილი.
**მოხუცი**—ეკდალი.
**ჰიალმარ ეკდალი**—იმისი შვილი, ფოტოგრაფი.
**გინა ეკდალი**—ცოლი ჰიალმარისა.
**ედვიგი**—იმათი ქალი, 14 წლისა.
**ქ-ნი სიორბუ**—ვერლეს ეკონომკა.
**რელლინგი**—ექიმი.
**მოლვიკი**—ღვთისმეტყველების კანდიდატი.
**გრობერგი**—ვერლეს ბუჰგალტერი.
**პეტერსენი**—ვერლეს კამერდინერი.
**იენსენი**—ვერლეს ლაქია.
**კამერგერი ფლორი**—სქელი და ფერმკრთ.
**კამერგერი ბალლე**—მელოტი.
**კამერგ. კასპერსენი**—ბეცი.
**ექვსი სტუმარი** და რამდენიმე ლაქია.

პირველი მოქმედება სწარმოებს ვერლესთან, დანარჩენი ოთხი—ფოტოგრაფ ეკდალის სახლში.

**მოქმედება პირველი.**

ვერლეს სახლში, მისი კაბინეთი.

მდიდრულად მორთული ოთახია; წიგნის შკაფები, სავარძლები; შუა სცენაზე სდგას სამწერლო მაგიდა ქაღალდებით და საკანტორო წიგნებით. მწვანე - აბაჟურიანი ლამფები მკრთალად ანათებს ოთახს. უკანა კედლის კარი ღიაა, მოსჩანს დიდი, საუცხოოდ მორთული ოთახი, ჭაღებითა და ლამფებით განათებული. წინ, მარჯვნით პატარა, შპალიერ-გაკრული კარები, რომელიც კანტორაში გადის. მარცხნივ ბუხარია ნაკვერჩხლით, იმის იქით სასადილო ოთახის კარები. ლივრეიაში გამოწყობილი პეტერსენი და იენსენი ფრაკით კაბინეთსალაგებენ. უკანა ოთახში მოსჩანს რამდენიმე ლაქია, რომლებიც სანთლებს ანთებენ. სასადილო ოთახიდან ისმის ლაპარაკი და სიცილი. გაისმის ჭიქაზე შემოკრულ დანის ხმა, რის შემდეგაც დამყარდება სიჩუმე; ისმის სადღეგრძელო, ვაშას ძახილი და კვლავ ლაპარაკი და სიცილი).

**პეტერსენი.** (ლამფას ანთებს). არა ერთი ყური უგდე, იენსენ, მოხუცი ვერლე წამოდგა და ქ-ნ სიორბუს სადღეგრძელოსა სვამს!..

**იენსენი.** (სავარძელს გამოდგამს). ვითომ მართალს ამბობენ, რომ მაგათ შორის რაღაც იყოს?

**პეტერს.** სწორედ გითხრა, დანამდვილებით არც მე ვიცი.

**იენს.** ამბობენ, მოხუცს ბლომა ცოდვები მიუძღვისო!

**პეტერს.** შეიძლება.

**იენს.** ეს წვეულება შვილს გაუმართა?

**პეტერს.** ჰო, შვილი გუშინ მოუვიდა.

**იენს.** მე არც კი ვიცოდი, თუ ვერლეს შვილი ჰყავდა.

**პეტერს.** ყოლით ჰყავს, მაგრამ ის სულ მთებში ატარებს თავისს დღეებს, ქარხანას უვლის. რაც აქ ვმსახურობ, ჯერ ქალაქში არ ჩამოსულა.

**ლაქია.** (მეორე ოთახის კარებიდან) ვიღაც მოხუცია, პეტერსენ.

**პეტერს.** (გაჯავრებით) ვინ არის? რა უნდა?

(გამოჩნდება მოხუცი ეკდალი აცვია დაგლეჯილი პალტო მაღალი საყელოთი, მატყლის ხელთათმანები, ხელში ჯოხი და შლიაპა უჭირავს, იღლიაში დახვეული ქაღალდები. ქერა, უფრო მოწითალო, ჰუჰყიანი პარიკი და პატარა ჭაღარა ულვაშები აქვს).

**პეტერს.** (მიდის მისკენ) ღმერთო! თქვენ აქ რა გინდათ?

**მოხ. ეკდ.** (კარებიდან) კანტორაში საქმე მაქვს, პეტერსენ, ძალიან საჭირო.

**პეტერს.** კანტორა ერთი საათიც კი არის, რაც დაკეტილია.

**მოხ. ეკდ.** ეგ, ჩემო მეგობარო, ქვეით კარებშიაც მითხრეს, მაგრამ გრობერგი ხომ იქვეა. მიყავ ეს სიკეთე, პეტერსენ, გამიწიე მეგობრობა და ნება მომეცი ემ კარებში გავიარო. (უჩვენებს შპალიერ-გაკრულ კარებს) წინადაც ვყოფილვარ.

**პეტერს.** გაიარეთ (გაუღებს კარებს) მხოლოდ მერე სხვა კარებიდან გადით, სტუმრები გვყავს.

**მოხ. ეკდ.** ვიცი, ვიცი... ჰმ! გმადლობთ, ძვირფასო პეტერსენ, თქვენ ძველი, ნამდვილი მეგობარი ხართ. (ჩუმად) ბრიყვი! (შედის კანტორაში).

**იენს.** ეგეც კანტორაში მსახურობს?

**პეტერს.** არა, სახლში აძლევენ გადასაწერს, როცა უნდა. მაგრამ თავისს დროზე მოხუცი ეკდალი ნამდვილი ბატონი იყო.

**იენს.** ჰო, ეგ ისეც ემჩნევა.

**პეტერს.** დიაღაც, წარმოიდგინე, კაცი ლეიტენანტი იყო.

**იენს.** ლიტენანტი? ეგ?

**პეტერს.** ჰო, ლეიტენანტი. მაგრამ შემდეგ დაიწყო ხე-ტყით ვაჭრობა, თუ კიდევ რაღაც. ამბობენ, მაგან ვერლეს ცუდი საქმე უყოო. მაგათ მაშინ საერთო სამხერხაო ქარხანა ჰქონიათ. მოხუც ეკდალს კარგად ვიცნობ. მე და ეგ ხშირად დავდივართ ქ-ნ ერიკსენთან ბავარული ლუდის ან ორნახადის გადასახუხად.

**იენს.** მგონი მაგას გადასახუხი ბევრი არა აქვს რა?

**პეტერს.** რასაკვირველია, იენსენ, ფული ჩემი იხარჯება. საზოგადოდ. მე იმ აზრისა ვარ, რომ ყოველთვის ტკბილად და ალერსით უნდა მოვექცეთ იმ კეთილშობილთ, რომელთაც ამ გვარი რამ უბედურება შემთხვევიათ.

**იენს.** რა, გაკოტრდა?

**პეტერს.** უფრო მეტი: ციხეშიაც კი ამოჰყო თავი.

**იენს.** რა მიზეზით?

**პეტერს.** სწორედ არ ვიცი... ჩუმად, სადილიდან წამოიშალნენ.

(იღება სასადილო ოთახის კარები და ნელ-ნელა ლაპარაკით შემოდიან ქ-ნი სიორბუ და სტუმრები, მათ შორის ვერლე, კამერგერები ფლორი, ბალლე და კასპერსენი, სულ ბოლოს ჰიალმარ ეკდალი და გრეგერე).

**ქ-ნი სიორბუ.** (მოსამსახურეებს) პეტერსენ, ყავა სამუსიკო ოთახში მოგვართვით.

**პეტერს.** ამ წუთში, ქ-ნო სიორბუ.

(ქ-ნი სიორბუ ორი სტუმრით გადის უკანა ოთახში, იქიდან მიდის მარჯვნით. პეტერსენი და იენსენი იმათ მისდევენ).

**კამ. ფლორი,** (კამერგ. ბალლეს) ოჰ, ეს სადილი—მთელი ტანჯვაა.

**კამერგ. ბალლე.** თუ სურვილია, სამს საათში თვით უძნელესი საქმის გაკეთებაც კი შეიძლება.

**კამერგ. ფლორი.** ჰო, მაგრამ მერე, მერე, ძვირფასო კამერგერო!

**მესამე სტუმარი.** ყავასა და მარასკინს, მგონი, სამუსიკო ოთახში მოგვიტანენ.

**კამერგ. ფლორი.** მანამდის კი ქ-ნი სორბუ დაუკრავს როიალს და მთელ ბუნებას აათამაშებს.

**კამერგ. ბალლე.** (**ჩუმად**). ექ ქ-ნმა სიორბუმ ჩვენ ცუდად არ აგვათამოს...

**კამერ. ფლორი.** არა, არა, ეგ საშიში არ არის. ბერტა თავისს ძველ მეგობრებს არ დაივიწყებს. (სიცილით გადიან უკანა ოთახში).

**ვერლე.** (ჩუმად და უსიამოვნოდ). მგონი ყურადღება არავინ მიაქცია, ჰა, გრეგერს.

**გრეგერსი.** (შეაცქერდება) რასა?

**ვერლე.** ვერც შენ შენიშნე?

**გრეგერ.** შესანიშნი რა იყო?

**ვერლე.** სუფრაზე ცამეტნი ვისხედით.

**გრეგ.** ჰო, ცამეტნი!

**ვერლე.** (შეხედავს ჰიალმარ ეკდალის) ჩვენ ისე მივეჩვიეთ, რომ ყოველთვის თორმეტნი ვართ,.. (მიუბრუნდება დანარჩენ სტუმრებს) გთხოვთ, ბატონებო (ყველანი გავლენ უკანა ოთახში ჰიალმარისა და გრეგერსის გარდა).

**ჰიალ.** (რომელმაც გაიგონა მათი ლაპარაკი) არ უნდა მოგეწვიე, გრეგერს.

**გრეგ.** რაა? სადილი ჩემთვის იყო გამართული და ჩემი ერთად ერთი, ჩემი საუკეთესო მეგობარი არ მომეწვია?

**ჰიალ.** არა მგონია, რომ ეს ძალიან ესიამოვნებოდეს მამაშენს! მე ხომ აქ ჯერ არა ვყოფილვარ...

**გრეგ.** ეგ გაგონილი მქონდა, მაგრამ ჩემთვის საჭირო იყო შენი ნახვა და შენთან ლაპარაკი. უეჭველია, მე ისევ ჩქარა დავბრუნდები... დიაღ, ჩვენ ძველი ამხანაგები ვართ, სასწავლებლიდანვე, თუმცა დიდიხანია, რაც ერთმანეთს დავშორდით. თექვსმეტჩვიდმეტი წელიწადია აღარ მინახვიხარ.

**ჰიალ.** ნუ თუ მაგრე დიდმა ხანმა განვლო?

**გრეგ.** დიაღ, რასაკვირველია! სხვა, როგორა სცხოვრობ? შესახედაობა კი კარგი გაქვს. გასუქებულხარ კიდეც.

**ჰიალ.** არა, მსუქანი კაცის სახელი კი არ შემფერის, მაგრამ, რასაკვირველია,—მას აქედ ცოტა დავსრულდი.

**გრეგ.** ჰო, ყოველ შემთხვევაში... შენი გარეგნობაც უფრო გაუმჯობესებულა.

**ჰიალ.** (დაღვრემით) ჰო, მაგრამ გული: იქ ყველაფერი გამოიცვალა, რასაკვირველია, გეცოდინება, რა საშინელი უბედურება დაგვატყდა თავსა მე და ჩემს მახლობელთ ამ ხანში, რაც ერთმანეთს დავშორდით.

**გრეგ.** (ხმა დაბლა) როგორ არის ეხლა მამაშენი?

**ჰიალ.** სჯობს ამაზე გავჩუმდეთ. რასაკვირველია, საწყალი მამაჩემი ჩემთანა სცხოვრობს. იმას ჩემის მეტი არავინა ჰყავს ქვეყნად. ოხ, ამაზე ლაპარაკი გულს მკლავს! ისევ შენ მიამბე, როგორა სცხოვრობდი მთებში?

**გერგ.** ვცხოვრობდი მარტოდ, შეიძლებოდა ფიქრი, სჯა ბევრს რამეზე. აქეთ მოდი, დავსხდეთ (ჩაჯდება სავარძელში ბუხართან, ჰიალმარი გვერდით მოუჯდება).

**ჰიალ.** (ღმობიერად) მაინც დიდად გმადლობ დაპატიჟებისთვის. ეხლა დავრწმუნდი, რომ ჩემს წინააღმდეგ არაფერი გაქვს.

**გრეგ.** (გაკვირვებით) საიდან გამოიგონე, რომ შენი საწინააღმდეგო მქონოდეს რამე?

**ჰიალ.** არა, პირველ წლებში კი...

**გრეგ.** რომელ პირველ წლებში?

**ჰიალ.** იმ უბედურობის შემდეგ. რასაკვირველია, თვით მამაშენიც ბეწვზე ეკიდა... კინაღამ ისიც გაერია ამ საზარელ საქმეში.

**გრეგ.** და მერე მაგიტომ უნდა ცუდი გულით ვყოფილიყავი შენზე?

**ჰიალ.** ჰო, ხომ ვიცი, რომ ეგ ეგრეც იყო. თითონ მამაშენმა მითხრა.

**გრეგ.** (განცვიფრებული) მამაჩემმა? ჰო,... ჰმ... ამიტომაც არა მწერდი წერილს, არც ერთს სიტყვას?

**ჰიალ.** ჰო.

**გრეგ.** არც ერთს სიტყვას, თვით მაშინაც კი, როცა გადასწყვიტე ფოტოგრაფობა დაგეწყო.

**ჰიალ.** მამაშენმა დამარწმუნა, ტყუილი იქნება იმისთან წერილის გაგზავნაო.

**გრეგ.** იქნებ ის მართალიც იყო. მხოლოდ ეს მითხარი, ჰიალმარ, გაკმაყოფილებს რამდენადმე მაინც შენი ეხლანდელი მდგომარეობა?

**ჰიალ.** (ოხრავს) ჰო, რასაკვირველია. ნება მაინც არა მაქვს სხვა აზრი ვიქონიო. პირველად, რასაკვირველია, ძალიან მეუცხოვა, რადგანაც სულ სხვა და უჩვეულო გარემოებაში ჩავვარდი. ის საშინელი უბედურება, რომელიც მამაჩემს დაატყდა თავსა, ათხრება, სირცხვილი და სახელის გატეხა, გრეგერს.... .

**გრეგ.** (შეძრწუნებული) მესმის, მესმის!

# ჟურნალისტის დღიური.

74.

**ვიტიროთ თუ ვიცინოთ?**

მეტად დამახასიათებელი წერილია დაბეჭდილი გორის გაზეთ „ქართლი“-ს მეჩვიდმეტე ნომერში. მოგვყავს ეს წერილი უცვლელად.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ გამომიცხადოთ, რომ ამიერიდან მე თავს ვანებებ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გორის განყოფილების გამგეობის წევრობას, მიზეზი მთელი გამგეობის უმოქმედებაა. ცარიელი სახელის ტარება უხერხულად მიმაჩნია. **ვანო კვალიაშვილი.**

გორის განყოფილების უმოქმედების შესახებ ბევრი რამ თქმულა და დაწერილა, მაგრამ თუ საქმე იქამდის მივიდოდა, რომ თვით გამგეობის წევრს შეაშინებდა გამგეობისავე უმოქმედობა, ეს კი არ გვეგონა. მართლაც, რაოდენად ცუდად უნდა იყოს საქმე, რომ ზემოხსენებულ მიზეზის გამო გამგეობის წევრმა წევრობაზე უარი განაცხადოს.

გორი მთელი ქართლის ცენტრია. გარს ახვევია აუარებელი დიდი და დასახლებული სოფლები. ზევრგან წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკა-სამკითხველოებია გახსნილი. გორის მაზრის სოფლებს ხელმძღვანელობასა და გამგებლობას გორის განყოფილება უნდა უწევდეს,—და სწორედ ამ დროს გამგეობის წევრი გამგეობის უმოქმედობის მიზეზით წევრობას თავს ანებებს!

სწორედ სასაცილო ამბავია, ფრიად სატირელი რომ არ იყოს. მთავარმა გამგეობამ აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას, გაჰგზავნოს თავისი წევრი სარევიზიოდ, ან მოაწესრიგოს საქმე და თუ ადარაფერი ეშველება, ლაჰხუროს განყოფილება. თუ კერძო პირთათვის მოუხერხებელია ცარიელ სახელის ტარება, მით უფრო მოუხერხებელი უნდა იყოს იგი მთელი საზოგადოებისთვის.

**შინაური.**

# ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო

როგორც ტფილისში მიღებულ ცნობებიდან სჩანს, განსვენებულ მოღვაწის, პროფესორ ალ. სოლ. ხახანაშვილის ნეშტს ტფილისში მოასვენებენ პარასკევს, 3 აგვისტოს, დილის 8 საათზე. სადგურზე გადახდილ იქმნება მცირე პანაშვიდი და შემდეგ ცხედარს დიდუბის ეკლესიაში წაასვენებენ.

— განსვენებულ ა. ს. ხახანაშვილის ცხედარს დაასაფლავებენ კვირას, 5 აგვისტოს, დიდუბის ეკლესიის გალავანში, განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის საფლავის გვერდით.

31 ივლისს, საღამოს, ქვაშვეთის ეკლესიაში გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ არქიმანდრიტების პიროსისა და ნაზარის და ქალაქის სამღვდელოების მონაწილეობით პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულ ა. ს. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

— განსვენებულს ა. ს. ხახანაშვილს თავისი ძვირფასი ბიბლიოთეკა აღმოსავლეთის ენათა მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტისათვის შეუწირავს.

— „ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის“ ახლად არჩეულმა გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: მიიღოს მონაწილეობა მთელმა წრემ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის დაკრძალვაზე, დაესწროს მთელი გამგეობა და სიტყვა წარმოითქვას წრის სახელით და პროცესიის დროს იგალობოს წრესთან არსებულმა მგალობელთა გუნდმა.

**გორი.** 30 ივლისს, საკრებულო ტაძარში ქალაქის თვითმართველობის, გაზ. „ქართლის“ და ქართველთა შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების აქაურ განყოფილების თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი ჩვენის სასიქადულო მამულიშვილის პროფესორ ა. ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. ხალხი საკმაოდ დაესწრო. ბ.ბ. ზ. ქიტიაშვილმა და ი. ცინცაძემ წარმოსთქვეს სიტყვები. უკანასკნელის სიტყვა დაიბეჭდა გაზ. „ქართლში“.

ამ დღესვე, საღამოთი, გადაიხადეს პანაშვიდი განსვენებულის სახლში.

გუშინ, 31 ივლისს, სომხის საზოგადოებამ, სომხის ყოვლ. წმ. ღვთისმშობლის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადა ალექსანდრე ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხალხი საკმაოდ დაესწრო. სიტყვა სთქვა მამა ტერ-სააკ ტერ-მინასიანმა. გულთბილად მოიხსენია განსვენებული ხახანაშვილი და სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე ილაპარაკა: „მამაჩემი, ბრძანა მ. ტერ-სააკამ ას-რვა წელიწადი სცხოვრობდა გორში და არ გაეგონა, რომ სომხებსა და ქართველებ შორის რაიმე უკმაყოფილება ყოფილიყო. პირ-იქით სომხის ეკლესიაში ქართულად ვგალობდით“. მამა ტერ-სააკას სიტყვამ მშვენიერი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, თუმცა მოუმზადებლად წარმოსთქვა. („ქართლი“)

## სამძიმრის დეპეშები.

**ბორჯომი.** წ. კ. გ. საზ. ბორჯომის განყოფილების თაოსნობით, იმერეთის ეპისკოპოს ყოვლად სამღვდელო გიორგისა და დიდძალ საზოგადოების, ადგილობრივ თუ მოაგარაკეთა-თანადასწრებით ვახდევინეთ პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულ პროფესორ ხახანაშვილის სულის მოსახსენებლად.

თავმჯდომარე ვაშაკიძე.

**მანგლისი.** ჩვენს მწუხარებას ვუერთებ გლოვას ქართველ ერისას, რომელიც დასტირის ძვირფას მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ხახანაშვილის დაკარგვას.

ლადო ალექსი-მესხიშვილი.

**სოხუმი.** სოხუმის ქართველობა უღრმესის მწუხარებით შეეგება ენერგიულ და სამშობლოსათვის სასარგებლო მოღვაწე ხახანაშვილის გარდაცვალების ამბავს.

გამგეო'ა.

**გაგრა.** გაგრაში მცხოვრები ქართველები ჩვენს მწუხარებას ვუერთებთ საყოველთაო გლოვას, საზოგადო მოღვაწე პროფესორის ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო.

ანტ. მ მგელაძე.

**შორაპანი.** ვგლოვობთ ქართველ მეცნიერის ალექსანდრე ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვას.

ლომიაშვილი, ჩიხლაძე, გოცირიძე, მახარობელიძე.

**ოზურგეთი.** ბახმაროში წარმოდგენის დაწყების წინ შევიტყეთ პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალების ამბავი. თეატრში თავმოყრილი საზოგადოება ფრიად დაღონა ამ ამბავმა და მოწიწებით თავს იხრის განსვენებულ ძვირფას მეცნიერის ცხედრის წინაშე. მის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი ვეცით. წარმოდგენა გადაიდო.

მონდობილობით წუწუნავა, ყორყოლიანი, ფირცხალაიშვილი.

**ახალციხე.** ნაყოფიერ კალმოსნისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალებამ ურღმესად დაგვამწუხრა ყველანი. მისი სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადავიხადეთ ახალციხის საკრებულო ტაძარში. ჩვენს გულის წუხილს ვუერთებთ თანამემამულეთა საყოველთაო გლოვას და ცრემლს ვაფრქვევთ განსვენებულის ძვირფას ცხედრის წინაშე.

დეკანოზი ნ. ხუტაშვილი. ბლაღოჩინი ზედგენიძე, მღ. დ. კანდელაკი, ექიმი ასათიანი, ვ. გარდაფაძე, ქაიხოსრო ქავთარაძე, ერმონია და იაკობ ორბელიანი, გრიგორი ექსაპოვი, ვანე ლაზარაშვილი, ა. ავალიშვილი, ვერა და ვასილი ხარებავილები, კოლა ასათიანი, ბარბარე ოქროპირიძე, ბიბილაური, ბეგიშვილი, ბეზიშვილი, მაკარიანცი, ეფროსინე კანდელაკი, ილია კანდელაკი, ბარბარე ლოლობერიძე, ევგენი სავანელი, ქეთევან ხახუტაშვილი, ნინო ლაზარაშვილი, ოლღა ქავთარაძე, ივდითი დუდუჩავა, ასტანიძე.

**ახალციხე.** ურაველის მოაგარაკე ქართველებს გული დაგვწყვიტა დაუღალავ მოღვაწისა, სამშობლოს საუკეთესო შვილის პროფესორ ხახანაშვილის უდროოდ დაკარგვამ.

ბაბო, პავლე მეტრეველნი, ივანე თავართქილაძე, ჯავახიშვილნი, პეტრე კირკესალის, პეტრე ათამაზოვი, მარკ კონაძე, კნ. სუმბათაშვილისა. ფირალოშვილი სვიმონ და კონსტანტინე გვარამაძე.

**ალაგირი.** ღრმად დაგვამწუხრა ჩვენი თანამემამულე პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილის დაკარგვამ.

ალაგირის ქართველობა

**ახალციხე.** მთელის ოჯახობითა ვგლოვობ სასიქადულო და ძვირფას ალექსანდრე ხახანაშვილის დაკარგვას.

დეკანოზი ხახუტაშვილი.

# დავით ეპისკოპოსის
## ჩამობრძანება პიატიგორსკში

ეპისკოპოსს დავითს დიდებულათ დაუხვდა თავისი ახალი სამწყსო. მინერალურ წყლების სადგურზე თავის ახალ მწყემსთ-მთავარს დახვდა სამღვდელოება. პიატიგორსკის სადგურზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი მღვდელ-მთავრის დასახვედრად. აქ იყო პიატიგორსკის მთელი ადმინისტრაცია და ქალაქის სამართველოს წევრნი. ქალაქის თავმა ბ. ნიკოლენკომ პურ-მარილი მიართვა მათ მეუფებას და მისასალმებელი სიტყვით მიმართა. სადგურიდან მათი მეუფება ეტლით გაემართა პიატიგორსკის საკრებულო ტაძარში. გზაში ჯარები და მოსწავლენი თავიანთი მასწავლებლებით იყვნენ ჩამწკრივებულნი. სამხედრო მუსიკა „კოლ სლავენს“ უკრავდა. ტაძრიდან სამღვდელოება ჯვრითა და ხატებით გამოეგება მათ მეუფებას. ტაძრის შესავალში პურ-მარილი მიართვა ბატ. გრომოვმა. ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა მამა ზაქხეევმა გრძნობიერი სიტყვით მიჰმართა მათ მეუფებას. პარაკლისის გარდახდის შემდეგ მათ მეუფებამ ეპისკოპოსმა დავითმა სიტყვა წარმოსთქვა, რამაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მის ახალ სამწყსოზე.

მინერალურ წყლების ადმინისტრაციის თხოვნით ეპისკოპოსმა დავითმა პარაკლისი გარდაიხადა პიატიგორსკის პარკში სამკურნალო სეზონის გახსნის წინ.

პარაკლისის წინ მისმა მეუფებამ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მშვენივრად დაასურათ-ხატა გაზაფხული და ბუნება, მნიშვნელობა ბუნებისა ადამიანისათვის და შემდეგ მსმენელთა ყურადღება მიაქცია საუკუნო სანეტარო ცხოვრებისადმი. ამ სიტყვამ ძრიელ დიდი გავლენა იქონია მსმენელებზე. ადგილობრივ სამღვდელოება აღტაცებულია ეპისკოპოსი დავითის მშვიდი და წყნარი ცხოვრებით, სათნოიანი ხასიათით და მოსიყვარულე ადამიანური მოპყრობით.

**ბათიაშვილი.**

# მიწერ-მოწერა დიმიტრი ყიფიანთან

**ღირს-პატივცემულო**

**ბატონო დიმიტრი!**

ჩვენს ყოვლად დამპნუნებულ და სასტიკ დროში, როცა ასეთს იშვიათს მოვლენას წარმოადგენს მოქალაქობრივი ვაჟკაცობის გამოჩენა და პირუთვნელი გაბედული სიტყვა, სიხარულით და იმედით შესცქერის ყოველი ქართველი იმ დიდად საქებურსა და პატიოსანს თავ-გამოდებას, რომელიც გამოიჩინეთ ექზარხოს პავლესადმი მიმართულ წერილში. ამ შემთხვევაში თქვენ ღირსეულად ასრულეთ თქვენი კაცური მოვალეობა, ვითარცა საქართველოს ერთი კუთხისაგან რჩეულმა წინამძღვარმა. და დაუფარავად გამოსთქვით მთელი ქართველობის დაფარული გრძნობა. თუმცა მართალია პირველის შეხედვით თქვენმა სიტყვამ ვერ მიაღწია სასურველ შედეგს და დიდი უსიამოვნებაც შეგამთხვიათ, მაგრამ თვით ის, რაც მოხდა, ამტკიცებს, რომ სამართლიანად აღელვებულის გრძნობით განატყორცი ისარი არ ასცდენია მიზანს. თქვენი ქცევა ამშვენებს თქვენს ჭაღარა გვირგვინს და სრულს ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ის ქვეყანა, რომელსაც ჯერ არ გამოლევია თქვენისთანა მოხუცი“, არ მომკვდარა“.

გვაქვს რა პატივი მოგახსენოთ ჩვენი უგულითადესი თანაგრძნობა, დავშთებით მოწიწებით და ურღმესად თქვენი პატივისმცემელნი **მოსკოვში მოსწავლე ქართველნი.***)

**ქ. მოსკოვი.**

# „ავლაბრის წრის“ კრება.

კვირას, 29 ივლისს, ავლაბრის სახალხო თეატრში მოხდა ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის წლიური კრება. წევრთა საკმაო რიცხვის დასწრებისა გამო კრება კანონიერად ჩაითვალა დ ბ-ნ მათურელის თავმჯდომარეობით პირველ საათზე დაიწყო.

კრების განსახილველ საგნებს შეადგენდა: გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, წარსული წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა, მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა და არჩევანი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

წრის წევრთა ზოგიერთების დახმარებით ბ-ნ ნასიძეს მოუხერხებია ბ. მურაშკოს აუდიტორიის აღება სამის წლის იჯარით, მისი შეკეთება, ტანისამოსისა და მრავალი ხელსაწყობის შეძენა, შეწირულების შეკრება და სხვ., რომელიც ამ ჟამად წრის საკუთარ ქონებას შეადგენს.

როგორც ანგარიშიდანა სჩანს, წრეს აქტიური მოქმედება ამა წლის იანვრიდან დაუწყია, ხოლო სისტემატიურად სახალხო წარმოდგენების მართვა კი 24 ივნისიდან. ამ ხნის განმავლობაში წრეს შემოსავალი ჰქონია 920 მან., ამდენივე გასავალი. ხოლო გადარჩენილ თანხად ჩაითვლება ის, რომ ქრისტიშობისთვემდე ბინის ქირა გადახდილი აქვს და მანამდე კი თვიურად ოთახების ქირა უნდა შემოვიდეს 28 მ., თეატრის გაცემით (სულ ნაკლებ) ორი წარმოდგენიდან 26 მ., და აგრეთვე ის, რომ წრეს თავის წარმოდგენებისათვის თეატრი უფასოდა რჩება. ყველა ესენი რომ ვიანგარიშოდ წრეს ამ ჟამად მოგებადა რჩება ექვსას მანათზე მეტი და თუ ამის შემდეგ ენერგიულად შეუდგებიან მუშაობას, მოგება თან და თან იმატებს.

წარსული წლის ანგარიში და მომავალი (1912—1913) წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის შემოსავალ-გასავლის ჯამი ნავარაუდევია 1909 მან. კრებამ მიიღო და ერთხმად დაამტკიცა.

გარდა ამისა, რომ წრესთან არსებობს მუდმივი სცენის მოყვარეთა დასი, ამას გარდა არსებობს 40 კაცისაგან შემდგარი მომღერალთა გუნდი, რისთვისაც მოწვეულია ლოტბრად ბ. მათურელი და სწავლობენ ქართულ ეროვნულ სიმღერებს. წრესთანვე არსებობს 20 კაცისაგან შემდგარი სიმებიან საკრავის გუნდი.

ბოლოს არჩევნები მოხდა. წრის გამგეობის წევრებად ერთის წლის ვადით არჩეულ იქმნენ: თ. ნასიძე, ზ. ფორაქაშვილი, ი. იმედაშვილი, ბ. ლანდი და ყ. მეხუზლა. ამათ კანდიდატებად—გ. ფირუმიანი და მარტიროზოვი. სცენის მოყვარეთაგან გამგეობის წევრებად აირჩიეს: რ. ჯიბლაძე და ი. მჭედლიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად—ვ. მათურელი, ალ. კორძაია და კ. ივანიშვილი. ამათ კანდიდატებად—შაქრო კირაკოზოვი (ნათლუღელი) დ იოსებ რევაზიშვილი. მომღერალთა გუნდის წარმომადგენლად—ბ. მათურელი.

კრება დასრულდა საღამოს 6 ს.

**იოსებიძე.**

*) როგორც ეს, ისე პირველი წერილი, მოგვაწოდა ქ-ნმა ნინო ყიფიანმა.

**რედაქცია.**

---

**ჰიალ.** სწავლის გაგრძელების შესახებ ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა, რადგან მაგისთვის სახსარი არა გვქონდა. პირიქით, ვალები დაგვედო... და მგონი ყველაზე მეტი მამიშენისა...

**გრეგ.** ჰმ...

**ჰიალ.** ვამჯობინე ერთის დაკვრით გამეწყვიტა ყოველივე დამოკიდებულება ძველს ცხოვრებასთან. მომეტებულად მამაშენი მირჩევდა ამას. და რადგანაც იმანვე აღმითქვა შემწეობა...

**გრეგ.** დაიცა! მამაჩემმა აღგითქვა შემწეობა?

**ჰიალ.** ჰო, ხომ იცი. მაშ საიდგან შევძლებდი ფოტოგრაფიის შესწავლასა და მისს მოწყობა-გამართვას? და ეს კი, მერწმუნე, ცოტა არა ღირს.

**გერგ.** მერე ყველა მაგისთვის მამაჩემმა მოგცა ფული?

**ჰიალ.** განა არ იცი? მგონი ისა გწერდა.

**გრეგ.** თუ ფულს გაძლევდა, არა! იქნება დაავიწყდა. ჩვენ მხოლოდ საქმის შესახება ვწერთ ხოლმე ერთმანეთს წერილსა. აგრე... მაშ ეს სულ მამაჩემმა...

**ჰიალმ.** რასაკვირველია, იმან. ამისი გახმიანება არ უნდოდა, მაგრამ შველით კი იმან მიშველა. იმანვე მირჩია ცოლის შერთვაც. შენ იქნებ არც ეს იცი?

**გრეგ.** არა, არც ეგ ვიცოდი (ხელს გამოართმევს). ვერ გამომითქვამს, ძვირფასო ჰიალმარ, თუ ყველა ეგ როგორ მახარებს და... და მტანჯავს. იქნებ უსამართლოდ ვექცეოდი მამაჩემს... ზოგიერთ შემთხვევებში მაინც! ყველა ეს კი, რაც შენ მიამბე, ხომ ამტკიცებს იმის გულკეთილობას... თითქოს სინიდისი...

**ჰიალმ.** სინიდისი?

**გრეგ.** ჰო, ან რაც გსურდეს დაარქვი. ვერ გამომითქვამს, როგორ მიხარიან, როცა ყველა ეგ მესმის მამაჩემზე მაშ, ცოლიც შეირთე, ჰიალმარ, მიაღწიე იმას, რასაც მე ვერასოდეს ვერ მივაღწევ. დარწმუნებული ვარ, ოჯახმა ბედნიერება მოგცა.

**ჰიალმ.** დიალ, გრეგერს, ბედნიერება მომცა. ის ისეთი კარგი და თადარიგიანი ქალია, რომ მეტის ნატვრაც აღარ შეიძლება. არც თუ სულ გაუნათლებელია.

**გრეგ.** (ცოტა გაკვირვებით). აბა, რასაკვირველია.

**ჰიალმ.** არა, იცი, ცხოვრება თითონ ანვითარებს, გონებას უხსნის ადამიანს. ამასთანავე სულ მუდამ ჩემთან ცხოვრება... ჩვენთან კიდევ დადის რამდენიმე კაცი, სულ განვითარებული და ნიჭიერი ხალხი. გარწმუნებ, ეხლა შენ გინას ვეღარც კი იცნობ.

**გრეგ.** გინას?

**ჰიალმ.** განა დაგავიწყდა, რომ იმას გინა ჰქვიან?

**გრეგ.** ვისა ჰქვიან გინა? მე არაფერიც არ ვიცი...

**ჰიალმ.** ნუ თუ აღარ გახსოვს? გინა ერთს დროს აქა მსახურებდა.

**გრეგ.** (გაშტერებული). ეხ გინა განზენი ხომ არ არის?

**ჰიალმ.** ჰო, რასაკვირველია, გინა განზენია.

**გრეგ.** გინა განზენი, ჩვენი ეკონომკა ავადმყოფ დედიჩემის უკანასკნელ წელს.

**ჰიალმ.** ჰო, ჰო, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, ჩემო კარგო, რომ მამაშენი გწერდა ჩემი ცოლის შერთვას...

**გრეგ.** (ადგება), ჰო, მწერდა, მხოლოდ იმას, რომ... (რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის) თუმცა, დაიცა... კარგად მოვიგონო... მამაჩემს საერთოდ ბევრი წერა არ უყვარს. (ჩამოჯდება სავარძლის მოაჯირზე) ყური მიგდე, ჰიალმარ, ამიხსენი თუ ძმა ხარ... არა, ეს ხომ ჩინებულია... როგორ გაიცანი გინა, ე. ი. შენი ცოლი.

**ჰიალმ.** სულ ადვილად. გინა აქ ცოტა ხანს დარჩა. თქვენსა ისეთი არეულობა იყო... დედაშენი ავადმყოფობდა... ყველაფრის გაკეთება გინას არ შეეძლო, ამიტომ უარი სთქვა და წავიდა. ეს იყო დედიშენის სიკვდილის ერთის წლის წინად, თუ სიკვდილის წელს.

**გრეგ.** ჰო, ეგ იყო დედიჩემის სიკვდილის წელს. მაშინ მე მთებში ვმუშაობდი. მერე?

**ჰიალმ.** შემდეგ გინა სცხოვრობდა სახლში თავისს დედა ქ-ნ განზენთან. ის ძალიან მშრომელი და ყაირათიანი ქალია, პატარა სასადილო ჰქონდა გამართული და ერთ სუფთა და კოხტა ოთახსაც აქირავებდა.

**გრეგ.** და შენ, რასაკვირველია, ბედმა გარგუნა იმ ოთახის დაქირავება.

**ჰიალმ.** ჰო, მამაშენმაც მირჩია. ამ რიგად გავიცანი გინა.

**გრეგ.** მერე ჯვარიც დაიწერეთ.

**ჰიალმ.** ჰო, ყმაწვილ ხალხს ისე ჩქარა უყვარდებათ ერთმანეთი... ჰმ...

**გრეგ.** (ადგება და რამდენჯერმე გაივლ-გამოივლის) მითხარი ერთი თუ ღმერთი გწამს, მამაჩემმა სწორედ იმ დროს გიშველა, როცა ცოლი შეირთე... ე. ი. მინდა გკითხო, სწორედ იმ დროს დაიწყე ფოტოგრაფიის შესწავლა?

**ჰიალმ.** ჰო, ჰო, სწორედ იმ დროს. რაც შეიძლება ჩქარა მინდოდა მოვწყობილიყავ, და მამაშენმაც, რასაკვირველია, და მეც... ჩვენ ორთავემ გადავწყვიტეთ, რომ ფოტოგრაფიის გაღება სჯობდა ყველაფერს... გინაც აგრე ფიქრობდა. აქ კიდევ ერთი მიზეზიც იყო: რაღაც ბედნიერი შემთხვევით, გინამ წინადვე იცოდა სურათების გადაღება.

**გრეგ.** ჰო, მართლაც საკვირველი შემთხვევაა.

**ჰიალმ.** არა? ნამდვილად საკვირველი შემთხვევაა!..

**გრეგ.** ჰო, კაცმა სწორედ უნდა სთქვას... ასე რომ მამაჩემი შენთვის თავისებური განგება ყოფილა...

**ჰიალმ.** (ლმობიერად) ჰო, დიალ, განსაცდელის დროს იმან არ დასტოვა თავისი ძველი მეგობრის შვილი; მამაშენი ძალიან კეთილი გულის კაცია.

**ქ-ნი სიორბუ.** (მოჰყავს მკლავში ხელ-გაყრით ვერლე). კმარა, ჩემო მეგობარო, თქვენი იქ დარჩომა აღარ შეიძლება—იქ ისეთი სინათლეა, რომ თქვენ ის გავნებთ.

**ვერლე.** (ხელს გაუშვებს და თვალებზედ მოისვამს) თქვენ მართალი ხართ. (შემოდიან პეტერსენი და იენსენი სინებით.)

**ქ-ნი სიორბუ.** (სტუმრებს), რომელნიც მეორე ოთახში დარჩნენ). მობრძანდით, ბატონებო! ვისაც ფუნჯი სურს, ვთხოვ აქეთ გამობრძანდეს!

**კამ. ფლორი.** (მიდის ქ-ნ სიორბუსთან). ღმერთო ნუ თუ მართალია, რომ თქვენ მოსპეთ ძვირფასი თავისუფლება თუთუნის წევისა?

**ქ-ნი სიორბუ.** დიალ, ბატონო კამერგერი, სადაც ბ-ნი ვერლეა, იქ თუთუნი არ მოიწევა.

**კამ. ბალლე.** როდის აქეთ გამოეცით, ქ-ნო სიორბუ, მაგვარი სასტიკი კანონი?

**ქ-ნი სიორბუ.** უკანასკნელი სადილის შემდეგ, ბ-ნო კამერგერო, რადგან ზოგიერთებმა ნება მისცეს თავიანთ თავს საზღვარს გადასცდენოდნენ.

**კამ. ბალლე.** ნუ თუ, ქ-ნო სიორბუ, არ შეიძლება საზღვარს ცოტა გადავაბიჯოთ? არ შეიძლება?

**ქ-ნი სიორბუ.** არა შემთხვევაში, ბ-ნო კამერგერო.

სტუმრების მომეტებული ნაწილი ვერლეს კაბინეტში შეიკრიბება, მოსამსახურეებს მიმოაქვთ მათთან სავსე ჭიქები.

**ვერლე.** (მიდის მაგიდასთან, ჰიალმარს) რასა შინჯავთ, ეკდალი?

**ჰიალმარი.** ისე, ალბომში სურათებს ვათვალიერებ, ბ-ნო ვერლე?

**კამ. ბალლე.** (გაივლის) ა, ფოტოგრაფია! სწორედ სათქვენოა!

**კამ. ფლორი.** (სავარძელშია) თქვენი სურათები არ წამოგიღიათ?

**ჰიალმარი.** არა, არ წამომიღია.

**კომერ. ფლორი.** უნდა წამოგეღოთ, საჭმლის მოსანელებლად სასარგებლოა სურათების სინჯვა.

**კამერ. ბალლე.** თან სალაპარაკო მასალასაც იძლევა, არა?

**კამ. კასპერსენი.** და ყოველი მასალა დიდის მადლობით მიიღება.

**ქ-ნი სიორბუ.** კამერგერებს სურთ გამოსთქვან, ბ-ნო ეკდალ, რომ ვისაც სადილად ჰპატიჟობენ, უნდა გაისარჯოს კიდეცაო.

**კამ. ფლორი.** სახლში, სადაც კარგად აჭმევენ, ეს სასიამოვნოც არის.

**კამ. ბალლე.** ღმერთო, როცა საქმე შეეხება ბრძოლას არსებობისათვის, მაშინ...

**ქ-ნი სიორბუ.** დიალ, მართალი ბრძანდებით...

**გრეგერსი.** (ჩუმად) უპასუხე რამე, ჰიალმარ.

**ჰიალმ.** (მიბრუნდება) რომ არ ვიცი, რა ვუთხრა?

**კამ. ფლორი.** არ შეგიმჩნევიათ, ბ-ნო ვერლე, ტოკაის რა სასარგებლოა კუჭისთვის?

**ვერლე.** (ბუხართან) რომელსაც მიირთმევთ მაგის შესახებ მაინც და მაინც ეგ შეიძლება ითქვას. საუკეთესო წლისაა. რასაკვირველია, თქვენც შეამჩნევდით ამზისა.

**კამ ფლორი.** დიალ, საკვირველი წმინდა გემო აქვს.

**ჰიალმარი.** (გაუბედავად) განა წლებში გარჩევა არის?

**კამ. ფლორი.** (სიცილით) შეუდარებელი ხართ, ბ-ნო ეკდალ!

**ვერლე.** (ღიმილით) სწორედ გითხრა, არცკი ღირს თქვენი გამასპინძლება საუკეთესო ღვინოებით.

**კამ. ბალლე.** ტოკაის ღვინო, ჩემო ეკდალ, წააგავს ფოტოგრაფიას. იმას ესაჭიროება მზე. ან იქნებ ეგრე არ არის?

**ჰიალმარი.** დიალ, სინათლეს, რასაკვირველია, დიდი გავლენა აქვს.

**ქ-ნი სიორბუ.** მაშ ის კამერგერებს ჰგვანებია. ისინიც მზეს ძალიან საჭიროებენ.

**კამ. ბალლე.** ოჰ, ოჰ, ოჰ! დაძველებული ნაკვესია!

**კამ. კისპერ.** ქ-ნი ბერტა ენამახვილობს!

**კამ. ფლორი.** ისიც ჩვენს შესახებ! (დამუქრებით) ქ-ნო ბერტა, ქ-ნო ბერტა!

**ქ-ნი სიორბუ.** დიალ, მაგრამ ხომ მართალია, რომ შეიძლება სხვა და სხვა წლის გამოცემა, და რომ ყველაზე ხნიერნი—უფრო საუკეთესოები არიან.

**კამ. კასპერ.** მეც ხნიერთა რიცხვში გყევართ ჩარიცხული?

**ქ-ნი სიობრუ.** ჯერ სრულებითაც არა!

**კამ. ბალლე.** ჰე, მოგხვდათ! აბა, მაშ მე, ძვირფასო ქ-ნო სიორბუ?

**კამ. ფლორი.** ან მე? ჩვენ რომელ წლებს გვაკუთვნებთ?

**ქ-ნი სიობრუ.** თქვენა?, ყოველ შემთხვევაში ტკბილებს. (მიაქვს პირთან ჭიქა. ყველანი იცინიან).

**ვერლე.** ქ-ნნ სიორბუ პასუხს ყოველთვის იპოვის! გთხოვთ, ბ-ნებო! პეტერსენ, ყური უგდე კარგად! აბა, ახლა ჩვენ დავლიოთ, გრეგერს, თითო ჭიქა. (გრეგერსი არ იძვრება) თქვენა ბ-ნო ეკდალ, არ შემოგვიერთდებით? სადილზე კარგად ვერ გაგიმასპინძლდით.

(ბუჰგალტერი გრობერდი შპალიერგაკრულ კარიდან თავს გამოჰყოფს),

**გრობერგი.** უკაცრავად, ბ-ნო ვერლე, ვერსაით ვერ გავსულვარ...

(შემდეგი იქნება)

**გ. ნამურაძე.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

1 აგვისტო.

## საზღვარ-გარედ

### ოსმალეთი.

**უსკიუბი.** ალბანელებს თავის მოთხოვნილებათა პასუხი არ მიუღიათ. ამიტომ ალბანელები ქალაქში დაუბრკოლებლად შემოდიან.

**სტამბოლი.** როსტომ-ბეის მაგივრად, რომელმაც უფლებას გადაამეტა, ცეტინიეს ელჩად დანიშნეს ფაჰრედინი, ბუდაპეშტის კონსულად ნამყოფი.

მიწის ძვრისაგან დაღუპულ-დასახიჩრებულა 3 ათასი კაცი.

### მაროკოს ხონთქარი.

**ჯიბრალტარი.** ჩამოიარა მაროკოს ხონთქარმა მულაი-ჰაფიდმა კრეისერ „დუშაილათი“, მარსელს იგი ინგლისის გემით გაემგზავრა.

### გაფიცვა

**სარაგოსა.** ქვისმთლელები გაიფიცნენ. გაფიცულებს სხვათა კავშირებიც მიემხრნენ.

### ვაგონის უბედურება.

**ბოხუმი.** ტრამვაის ვაგონს ტორმაზი გაჰფუჭებოდა. ვაგონი შიგ ტრაქტირში შევარდა, სამი კაცი დაიღუპა, შვიდი მძიმედ დაშავდა, 10 მსუბუქადა.

### გემის გაჩხრეკა

**რომი.** ალექსანდრიის ახლო იტალიის კრეისერმა რუმინიის გემი „კაროლი“ შეაჩერა და გაჩხრიკა. დაიჭირეს სამი მგზავრი, რომელნიც ვითომ ოსმალეთის აფიცრები უნდა იყვნენ.

იმავე მიდამოებში იტალიის გემმა ოსმალეთის გემი დაიჭირა.

### გაზეთების აზრი იუკიჩის საქმის თაობაზე.

**ვენა.** გაზეთებს არ მოსწონთ განაჩენი, რომელიც სასამართლოს გამოუტანია ხორვატიის ბანის ცუვაის მოკვლის გამზრახველთათვის. ჰუნგრეთის მოღვაწეობა და მოქმედება ხორვატიაში, საკონსტიტუციო გარანტიათა მოსპობასა და ჩაგვრასთან ერთად, ხალხს სასოს წარუკვეთსო.

### ნავის გადაბრუნება.

**შვერინი.** შვერინის ტბაზე ნავი გადაბრუნდა, დაიხრჩო ხუთი კაცი.

### მეამბოხეთა თარეში

**მანაგუა.** მეამბოხეებმა დედა-ქალაქს თოფ-ზარბაზანი დაუშინეს. ბავშვები და ქალებიც დაუხრიათ. უცხოელებს თავის ეროვნების დროშები აუმართნიათ.

## რ უ ს ე თ ი

### პუანკარე რუსეთში

**პეტერბურგი.** ნაშუადღევის ოთხ საათზე პუანკარემ ცარსკოე სელოში სასახლეები დაათვალიერა, საფრანგეთის ელჩთან ერთად.

### რუსის ნაციონალისტების კლუბის კურთხევა.

**კიევი.** აკურთხეს რუსის ნაციონალისტების კლუბი. კურთხევას დაესწრნენ: მიტროპოლიტი ფლავიანე, ეპისკოპოზი ნიკოდიმი, გუბერნატორი და დიდძალი ხალხი. ყოვლად სამღვდელო ნიკოდიმმა წარმოსთქვა სიტყვა იმის გამო, თუ რა როლი შეიძლება ჰქონდეს სამღვდელოებას ხალხის გონების გახსნა-განვითარებისათვის ნაციონალიზმის მხრით.

### საპიორების საქმე.

**ტაშკენტი.** დაიწყეს საპიორთა ბანაკში მომხდარ არეულობის მონაწილეთა საქმის გარჩევა. სამართალშია მიცემული 228 კაცი. აფიცრებს იცავენ (?)

### ტყე იწვის.

**არხანგელსკი.** სად. პლესეცკოესთან გაჩენილი ცეცხლი თან და თან ძლიერდება. ტყე ორის მხრით იწვის. ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი იხიზნებიან. ტყის ნადირი და ფრინველები ჯოგობით მირბიან და მიფრინავენ. ვოლოგდიდან კიდევ გაჰგზავნეს 200 ჯარისკაცი, ძველების გამოსაცვლელად.

### ორი კაცის მოკვლა.

**პეტროკოვი.** ჩენსტოხოვოში, ახალსა და კრაკოვის ქუჩაზე ორის ტყვიით მოჰკლეს მაგისტრატის მწერალი და ქარხნის მუშა. დამნაშავენი ეკუთვნიან რევოლუციონერ-შურის მძიებელთა ჯგუფს. მათი ვინაობა უკვე გაუგია მთავრობასა.

# უცხოეთი

### ოსმალეთ, ბულგარეთი და ჩერნოგორია.

ოსმალეთის ახალ მთავრობას მეტად აწუხებს ჩერნოგორიასთან მომხდარი უსიამოვნობის გამოურკვევლობა. ოსმალეთის ელჩი თავის უფლებათა ფარგალს გადასულა, როცა ჩერნოგორიის მთავრობისათვის 24 საათის ვადა მიუცია პასუხისათვის, რაცგანაც მისთვის ასეთი დავალება ოსმალეთის მთავრობას არ მიუცია. პორტას იმედი აქვს, რომ რუსეთის დახმარებით საქმეს მშვიდობიანი ბოლო მიეცემა. გამწვავდა ბულგარეთთან დამოკიდებულება კაჩანიკში ყუმბარების სროლის გამო, რომლის დროსაც განსაკუთრებით ბულგრები დაშავდნენ. ყუმბარები, ეჭვს გარეშე, პროვოკაციული აზრით იყო ნასროლი, რათა ოსმალეთ-ბულგარეთის დამოკიდებულების გამწვავება გამოეწვია. ბულგარეთის ეგზარხოსის თხოვნით, პორტამ ორი ბულგარელი წევრი მიუმატა იმ კომისიას, რომელმაც კაჩანიკის ამბავი უნდა გამოიკვლიოს. უნდა ვიფიქროთ, რომ ოსმალეთის ახალი მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს ბალკანეთზე მშვიდობიანობის დასაცავად, მხოლოდ მეზობლები დაჟინებით ცდილობენ ისარგებლონ დღევანდელ მდგომარეობით და მით ხელს უშლიან მის მშვიდობიან მოღვაწეობას.

### საყოველთაო გაფიცვის სამზადისი ბელგიაში.

უკანასკნელ კონგრესზე ბელგიის სოციალისტებმა პრინციპიალურად გადასწყვიტეს საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება არა უგვიანეს ნოემბრისა, საყოველთაო, თანასწორ საარჩევნო უფლების მოსაპოებლად. კონგრესმა აირჩია რამდენიმე კომისია, რომელიც გაფიცვის საკითხს ყოველმხრივ გამოარკვევს. ამ კომისიებს სათავეში უდგას ეროვნული კომიტეტი, რომელმაც საზოგადო ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს გაფიცვას და დანიშნოს მისი დაწყების დრო. ამ ჟამად კომისია სააგიტაციო ფონდს აგროვებს. ამ დღეებში პარტიის მთავარმა კომიტეტმა მანიფესტი გამოსცა: პროლეტარიატი ვალდებულია გაფიცვა გამოაცხადოს, თუ პარლამენტის გაბატონებული უმრავლესობა უარს იტყვის საყოველთაო, თანასწორ საარჩევნო კანონის შემოღებაზეო. „გაფიცვა მშვიდობიანი იქნება—ამბობს მანიფესტი—პროლეტარიატი არავის ემუქრება, მხოლოდ მას ჰსურს ისარგებლოს იმ უფლებით, რომელსაც კანონი ანიჭებს“.

რა სახისა იქნება ეს განზრახული ბრძოლა? პირველად პროლეტარიატმა უნდა აიძულოს პარლამენტი კონსტიტუციის გადათვალიერების პროექტის მიღება, რომელსაც სოციალისტები შემოდგომაზე შეიტანენ პარლამენტში, შემდეგ მანვე უნდა მიაღებინოს პალატის უმრავლესობას თანასწორი საარჩევნო უფლების კანონი. ასეთი ბრძოლა რომ სასარგებლოდ დაგვირგვინდეს, საჭიროა დიდი სააგიტაციო თანხა, რომელიც ხელის მოწერითა და სინდიკატ-კოოპერატივების ფონდებისგან უნდა შესდგეს. ამის გარდა მანიფესტი ურჩევს მუშებს: ყოველმა ოჯახმა ამ დროისთვის გადაინარჩუნოს 100—200 ფრანკი. გაფიცულები, რომელთა რიცხვიც ნახევარ მილიონამდე იქნება, ამგვარ დამზოგველობით შესძლებენ გაფიცვის განგრძობას 6—7 კვირამდე.

# თეატრი და ხელოვნებ.

კვირას, 29 ივლისს, ხარფუხის წარმოდგენების მმართველ წრის მიერ მუსულმანთა აუდიტორიაში წარმოდგენილი იქნა „ორი დარაჯი“.

სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ რომ წარმოდგენამ ძალიან სუსტად ჩაიარა.

გ.

# წერილი რედ. მიმართ

29 ივლისს სოფელს კავთისხევში გაიმართა წარმოდგენა, რომლის წმინდა მოგებაც გამმართველებმა შესწირეს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების სოფ. კავთისხევის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. კავთისხევის სცენის მოყვარენი უღრმეს მადლობასა სწირავენ ყველას, ვინც კი დახმარება აღმოუჩინა და განსაკუთრებით კი ქ-ნ ნებიერიძისას და ბ-ნ ნ. გოცირიძეს წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებისთვის.

სცენის მოყვარეთა მონდობილობით

**ხრ. ჯაჯანაშვილი.**

ბ. რედაქტორო!

„ბათუმის გაზეთის“ დახურვისა გამო, თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ნება მოგვეცით პასუხი გავცეთ ბ. ეკაშვილს, რომელმაც 140-ში ზემოხსენებულ გაზეთისა წერილი მოათავსა ქ. ოზურგეთიდან, სადაც სხვათა შორის ეხებოდა ოზურგეთის მომავალ თეატრის საკითხს და ამბობდა: „აქ სხვა სიკეთეს გარდა თეატრიც არ გვაქვს და ამისათვის რამდენიმე ქანქარის მოყვარე კერძო პირებმა დიდი სამსახური გაუწიეს ქალაქის მამებს და იჯარით აიღეს თეატრის შენობა, რომელიც ხის მასალიდან უნდა გააკეთონ, ხელშეკრულობის ძალით ეს ახალი შენობა იქნება 8 წლით ამ მოიჯარადრეების უფლებაში, რის შემდეგ მოსალოდნელია ეს ხის მასალა კიდევაც დალპეს და ჩვენი ქალაქი კვლავ უთეატროდ დარჩეს“.

სასიამოვნოდ დაგვრჩა, რომ ბ. ეკაშვილმა საკითხი პრესაში გადაიტანა. ჩვენ გვეგონა, რომ მადლობის მეტი არაფერი არ გვეკუთვნოდა. თუ ავტორი იმ წერილისა ძალიან გულშემატკივარი ადამიანია საზოგადო საქმეებისა და კერძოდ ქალაქის ინტერესების დამცველი, ჩვენ გულწრფელად დაუთმობთ მას უფლებას თეატრის აგებისას და აგრეთვე სულ უსასყიდლოდ გეგმას კანონიერად გაკეთებულს სადაც ჯერ არს და რომელიც არა ცოტა ფული დაგვიჯდა. ოღონდ ჩვენი ერთად-ერთი სურვილიასრულდეს და ოზურგეთში თეატრის შენობა დავინახოთ. ეს ერთი. თუ გნებავთ, ჩვენ ავაშენებთ შენობას და თუ ბ. ი. ეკაშვილი კეთილ ინებებს და მოისურვებს მის შესყიდვას, სულით და გულით დავუთმობთ უკვე დამზადებულ შენობას (სამი კაცის შეფასებით) და რადგანაც ძალიან გამოსარჩენი საქმე არის ბ. ეკაშვილის აზრით, დეე ის გამორჩეს, მხოლოდ ოზურგეთის საზოგადოებამ კი თეატრით ისარგებლოს.

პატივისცემით **გერმანე გოგიტიძე და მოსე თალაკვაძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

### ტფილისიდან გადის.

**ბაქოსაკენ:** ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ:** **ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ:** **სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში:** **საგარაკო** მატ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულუფისკენ:** **საფოსტო** № 74/75 ღამის 2 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ:** **სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე- და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

### ტფილისში მოდის.

**ბაქოდან:** **ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-V ან მე-III კლ. ვაგ. № 407, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათუმიდან:** **ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 2, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-II კლ. ვაგ. № 106, ღამ. [illegible] ს. 40 წ.

**მცხეთიდან:** **საგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან:** **სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან:** **საფ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## გემების მიმოსვლა

### საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარული,** სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის $12^1/_2$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12^1/_2$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

### სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12^1/_2$ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 1 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ და მერკური**“ ტელ. 682.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა სახქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

### ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71


# განცხადებანი

**ბუფეტი** და ახალი მოწყობილობა ქალაქიდან წასვლის გამო შემთხვევით **იყიდება** ხელმისაწვდომ ფასებში. იქვე შეიძლება გადაცემა **მაღაზიისა.** წყნეთის ქ., № 26. მელიქოვი. (1—582—1)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“—11—12 ს. **შეხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ავახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.** (წ. 1078.118)

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. დ. მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიო საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიჩქიროტუმოვი.** (თ. 1037.16)

## სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ალაჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606“-ით.** (0—1253 90)

## ქართულ ენაზე პრაქტიკული წიგნი

თვით-მასწავლებელი 123 ნახატით, ახალი მეთოდით. ქვას წერილი: ქართული, ებრაული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი: Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. (100—1231—26)

## სახელოსნო და საწყობი ძეგლებისა.



**ძმ. აგლაძეების.** მიხეილის პროსპ. № 48.

ვღებულობ ყოველნაირს მარმარილოს, ლაბარატორის გრანიტის და ყოველნაირ მოზაიკის სამუშაოს, იატაკებსა და სხვებს ხელმისაწდომ ფასებში. (0.—5?2—18)

## ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანჯარაშვილის მაღაზია-სახელოსნოში**

მუხრანის ქ., № 2. ყოველ ნაირი ფეხსაცმელი საუკეთ. მასალ., ზომიერ ფასებში.



(25.549.8)

## ქირავდება

**ნათელი, სუფთა და მშრალი სარდაფი.** ცხინვალის ქუჩა № 13. ჰკითხეთ სახლის პატრონს. ბინა 11. (4—577—3)

გამოსული და იყიდება ნ. შიუკაშვილის პიესა „მემონრობა“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „მამცემ ი“ დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

## ხელოვნურად შეზავებული სამკურნალო და ხილეულობის წყალი

## მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში პუშკინის ქუჩა № 6.** (25.1407.2)

## ე. ა. ცატუროვის დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

**რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.**

**ფასები** 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.** (40—1400—5)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

**ყურადღება!**

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მივიღეთ აგრეთვე ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა,** გირვანქა 1 მ. 60 კ.

(წ.1131.221)